

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: <a href="mailto:info@bsu.edu.ge">info@bsu.edu.ge</a>
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	ინგლისური ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს: ძირითადი სასწავლო კურსები - 180 დამატებითი სპეციალობა(მაინორი)/სპეციალობის არჩევითი კურსები- 60 კრედიტი.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	<p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა მიზნად ისახავს ჰუმანიტარული, ზოგადფილოლოგიური და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებას, პრაქტიკული და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას. პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტს ღრმად დაეუფლოს ფილოლოგიური მეცნიერებების საფუძვლებს, ინგლისურ ენას, ინგლისური ენის თეორიას და შეისწავლოს დასავლეთევროპული და ინგლისურენოვანი ლიტერატურის მნიშვნელოვანი მიმდინარეობები და ნაწარმოებები. პროგრამა ითვალისწინებს ინგლისური ენის ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურის, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური თავისებურებების, ენის განვითარების ძირითადი ეტაპების და ინგლისური და ამერიკული ძირითადი ლიტერატურული მიმდინარეობების ცოდნას.</p> <p>პროგრამის მიზანია სტუდენტებს გამოუმუშაოს პრაქტიკული უნარ-ჩვევები: ტექსტის კრიტიკული ანალიზის, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის დროს შეძენილი ცოდნის სწორად გამოყენების უნარი. თარგმანის თეორიული საფუძვლების შესწავლა და მათი პრაქტიკაში გამოყენების უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, მხატვრული და არამხატვრული ტექსტების გაგებისა და ინტერპრეტაციის, თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოებრივი-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ უახლესი ინფორმაციის მოპოვებისა და გაანალიზების უნარი საშუალებას მისცემს კურსდამთავრებულს წარმატებით დასაქმდეს შრომით ბაზარზე.</p> <p>ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, რომელიც ითვალისწინებს მოამზადოს მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნება. მისიიდან გამომდინარე, პროგრამა ხელს უწყობს პიროვნული პოტენციალის სრულყოფილ რეალიზაციას, ინტერდისციპლინურ და ინტერკულტურულ სამეცნიერო კვლევებში სტუდენტის ჩართულობას.</p>
სწავლის შედეგები	<p><b>დარგობრივი კომპეტენციები:</b> <b>ცოდნა და გაცნობიერება:</b> სტუდენტს აქვს ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე და ჩამოყალიბებული აქვს შესაბამისი ენობრივი კომპეტენციები, აქვს ფართო ცოდნა ინგლისურ ფილოლოგიაში. სტუდენტმა იცის: ინგლისური ენის ფონეტიკური და გრამატიკული სტრუქტურა, ლექსიკურ-სემანტიკური და სტილისტური თავისებურებები, ენის განვითარების ძირითადი ეტაპები, ევროპული, განსაკუთრებით ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის მნიშვნელოვანი მიმდინარეობები და ნაწარმოებები.</p> <p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b> ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია: მიღებული ცოდნის ინტეგრირება პრაქტიკაში, თარგმნა ინგლისურიდან ქართულ ენაზე და პირიქით; საკუთარი აზრის გადმოცემა ინგლისურ ენაზე როგორც წერით, ისე ზეპირი ფორმით; სხვადასხვა თემაზე შექმნილი შემეცნებითი ტექსტების გაგება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და მომიჯნავე დისციპლინებში მიღებულ ცოდნასთან ინტეგრირება.</p> <p><b>დასკვნის უნარი:</b> ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია ფილოლოგიური მონაცემების შეგროვება, გაანალიზება და დასაბუთებული დასკვნების გამოტანა. შესწევს კრიტიკული ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი არგუმენტირებული დასკვნების გამოტანის პროცესში.</p>

	<p><b>კომუნიკაციის უნარი:</b>  ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია მიღებული ცოდნის გამოყენება კომუნიკაციის პროცესში; სხვადასხვა საკითხზე დისკუსია და პრეზენტაცია ინგლისურ ენაზე თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, საბაკალავრო ნაშრომზე ან საკონფერენციო თემაზე მუშაობის დროს დასმულ პრობლემებზე წერილობითი ანგარიშის მომზადება და ზეპირად გადაცემა როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე. მცირე მოცულობის სამეცნიერო სტატიების და ტექსტების თარგმანა ინგლისურიდან ქართულ ენაზე და პირიქით.</p> <p><b>სწავლის უნარი:</b>  ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ინგლისური ფილოლოგიის, ლინგვისტიკის, თარგმანმცოდნეობის, ლიტერატურათმცოდნეობისა და სხვა მიმართულებით; შეუძლია გაიღრმავოს ცოდნა სხვადასხვა სასწავლო და გაცვლით პროგრამებში და კონკურსებში მონაწილეობით.</p> <p><b>ღირებულებები:</b>  ინგლისური ფილოლოგიის ბაკალავრი ჩამოყალიბებულია ეროვნული და მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობისა და ფასეულობების, ტრადიციების გაცნობით კრიტიკულად მოაზროვნე ჰუმანური, დემოკრატიის, ლიბერალური ღირებულების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება, რომელსაც აქვს ინტერკულტურულ ურთიერთობათა უნარი და აქვს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნება.</p>
<p><b>შეფასების წესი</b></p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:  ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.  (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p><b>საკონტაქტო პირი</b></p>	<p>პროგრამის ხელმძღვანელები:  <b>ირინე გოშხეთელიანი</b>, პროფესორი  მობ.+995 599 55 89 47  e-mail: <a href="mailto:irine.goshkheteliani@bsu.edu.ge">irine.goshkheteliani@bsu.edu.ge</a>  <b>თამარ სირაძე</b>, პროფესორი  მობ. +995 599 36 36 30  e-mail: <a href="mailto:tamar.siradze@bsu.edu.ge">tamar.siradze@bsu.edu.ge</a></p>